



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კუხიანიძე ვახტანგ მელიტონის ძე

კუხიანიძე ვახტანგ მელიტონის ძე (1. V. 1914, თბილისი, – 21. III. 1985, იქვე), სპორტსმენი (ბერძნულ-რომაული და თავისუფალი ჭიდაობა). სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1951), სსრკ დამს. მწვრთნელი (1957), საქართვ. კულტურის დამს. მოღვაწე (1957), სსრკ ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1949-54). XV ოლიმპიურ თამაშებზე (1952, ჰელსინკი) ხელმძღვანელობდა სსრკ ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრებ გუნდებს. სსრკ (1947) და საერთაშ. (1950) კატეგორიის მსაჭი. მისი აღზრდილები არიან: ს. გაბარაევი, შ. დაუშვილი, ო. კანდელაკი, ვ. მაჩვალიანი, ა. მეკოკიშვილი, ნ. მუზაშვილი, შ. ჩიხლაძე.
